წელიწადი მეორე. № 43. 2 ნოემბერი. 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ყორღანოვის სახლებში № 4.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი:

ერთის წლისა, გაგზავნით დ გაუგზავნ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . . . . . . . . — 15.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ხუთშაბათობით

ტფილისი

მომავალ 1879 წლის იანვრიდამ გაზეთის „ივერიის" მაგივრად გამოვა ტფილისში ჟურნალი

# ივერია

შემდეგის პროგრამმით:

I. **საქართველოს მატიანე:** განხილვა თვე-და-თვე ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენის საზოგადობრივს მომდინარე ცხოვრებას და მთავრობითს წარმოებას.

II. **საპოლიტიკო მიმოხილვა:** განხილვა თვე-და-თვე საზოგადო პოლიტიკისა და აგრეთვე უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადობრივის მომდინარე ცხოვრებისა.

III. **რუსეთის მატიანე:** დრო გამოშვებით განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება აწინდელ რუსეთის სახელმწიფოის წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებას.

IV. **ბელლეტრისტიკა:** მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.

V. **კრიტიკა.**

VI. **ბიბლიოგრაფიული ცნობები:** მოკლე განხილვა შესახებ ახალ წიგნებისა.

VII. **ცალკე წერილები** შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა და აგრეთვე შესახებ ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრებისა, წარსულისა და აწინდელისა.

VIII. **კორრესპონდენციები** შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნისა.

„ივერია" გამოვა თვეში ერთხელ. თვითო წიგნი შეიცავს თორმეტის თაბახის არა ნაკლებ.
ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში, „ივერიის" რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4.
აგრეთვე გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშუეთის ეკკლესიის ქვემოდამ.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „ИВЕРІИ."

| | | | |
|---|---|---|---|
| „ივერიის" ფასი—წელიწადში: | ტფილისში მცხოვრებთათვის | . . . . . . . . | 11 მან. |
| | გარეშე მცხოვრებთათვის | . . . . . . . . | 12 მან. |
| ექვსის თვით: | ტფილისში მცხოვრებთათვის | . . . . . . . | 5 მ. დ 50 კ. |
| | გარეშე მცხოვრებთათვის | . . . . . . . . . | 6 მ. დ 50 კ. |

---

გაზეთი „ივერია" დეკემბერში აღარ გამოვა. ხელის მომწერლებს ამ ნომრების მაგივრად დაურიდებათ იანვარში პირველი წიგნი ჟურნალისა. ამის გამო აწინდელ ხელის მომწერლებთათვის ჟურნალის ფასი 1879წ. იქნება 11 მან.—გარეშე მცხოვრებთათვის და 10 მან.—ტფილისში მცხოვრეათათვის.

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე: წვრილი ამბები. სანგილო (წერილი „ივერიისადმი“).—II. ორიოდე სიტყვა კიდევ მასწავლებელთ კრებაზე, ა. ჯ.-სა.—III. კიდევ ქართულს გალობაზე.—IV. საპოლიტიკო მიმოხილვა.—V. რამეთუ კაცი ვარ, მოთხრობა (შემდეგი).—VI. განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას, შეუძლებელ-მოსწავლეთა შეეწეობისათვის“ ნება-რთვა მისვლია შკოლის გახსნის თაობაზედ. როგორც „ივერიის“ წარსულ ნომერში იყო ნათქვამი, გამგებელი კომიტეტი იანვრის დასაწყისშივე აპირებს შკოლის დაარსებას. ამ დღეებში იქმნება თურმე დაბეჭდილი განცხადება შესახებ არზის შეტანისა და უმაწვილების მიღებისა. როგორც შევიტყეთ, ბევრს ამ „საზოგადოების“ წევრთაგანს თვისი ხვედრი ფული არ შეუტანია; ეხლა, როდესაც „საზოგადოება“ იწყებს თვით საქმით მოქმედობას, იმედია, რომ დააჩქარებენ საწევრო ფულის შეტანას. მეტი არ იქმნება ერთხელ კიდევ მოვიხსენიოთ, რომ მსურველთ შეუძლიანთ საწევრო ფულის შეტანისათვის მიმართონ ან „საზოგადოების“ ხაზინადარს ვ. დ. თულაშვილს, ან „საზოგადოების“ სეკრეტარს ნ. დ. ქანანოვს („ივერიის“ რედაქციაში).

---

ქრისტეშობისთვეში ორმოც-და-ათი წელიწადი შესრულდება მას აქეთ რაც არსებობს სამხრეთ რუსეთის სამეურნეო საზოგადოება. ამის გამო ხსენებული „საზოგადოება“ დღესასწაულობას აპირებს. სამეურნეო საზოგადოებას მოუნდომებია ამ დღესასწაულობაში მონაწილეობის მიღება და ამისათვის თვის წარმომადგენლად ამოურჩევია 30 ოკტომბერს თ. ზაქარია ჯორჯაძე, რომელიც გაგზავნილ უნდა იქმნეს ამისათვის ოდესაში. ჩვენის სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელ (30 ოკტომბერს) სხდომაში აღიარებულ იყო აზრი, რომ ჩვენმა წარმომადგენელმა არამც თუ მარტო უნდა მიულოცოს სამხრეთ რუსეთის სამეურნეო საზოგადოებასა, არამედ მოქმედი მონაწილეობაც უნდა მიიღოსო იმ „საზოგადოების“ კრებაშიო და აცნობოსო მას ჩვენის ქვეყნის მეურნობის რომელიმე შესანიშნავი ნაწილიო. ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ ყველაზედ უკეთესი იქმნებაო ოდესის სამეურნეო კრებას გაცნობოთო ღვინის მოყვანა ჩვენში. ამისათვის ამორჩეულ იქმნა თ. ზაქარია ჯორჯაძე, როგორც ამ საქმის კარგად მცოდნე კაცი.

---

გაზეთს „დროებას“ (№ 218) ერთის გლეხისაგან მოსვლია შემდეგი წერილი:

„შვიდს ღვინობისთვეს, ორასამდის ცხენები მორეკეს სულ კუდ-შეკვეცილები ჩვენს სოფელში. მეორეს დღეს მობძანდა თელავიდგან ნაჩალნიკი, მობძანდნენ პრისტავები, მობძანდნენ წითელის ყაბალახებით ჩაფრები, მოვიდნენ ყველა სოფლების მამასახლისები ხუთ-ხუთის და ათ-ათის კაცით.

„ცალ მხარეს დაამწკრივეს ცხენები, ცალ მხარეს მოსული მოხელეები და ხალხი. ნაჩალნიკმა გამოაცხადა: „ეს ცხენები ნამესტნიკმა გაჩუქათ თქვენ; არც თავად-აზნაურს, არც ჩინოვნიკებს, არც სომხებს და არც მღვდლებს არ მიეცემაო; თქვენ უნდა წაიყვანოთო, ვისაც რამდენიც გინდათო.“ ყველას გაუხარდა ხელმწიფის წყალობა; მაგრამ მერე სხვა რიგად გამოვიდა საქმე. დაუმატა ნაჩალნიკმა: „ცხენები წაასხით, მაგრამ ვერც უნაგირს და ვერც ფალანს ვერ დაადგავთ, ფურგუნი, ან ოთხ-თვლიანი, ან ორთვლიანი პოვოსკები უნდა გამართოთ და იმაში შეაბათო.“ ამ ბრძანებამ მოხელეებიც და ხალხიც შეაფიქრა: თუ გვაჩუქა ხელმწიფემ, ვერც უნაგირი დავადგათ, ვერც ფალანი და ვერც შევსხდეთ, მაშ ვინ მოგვცა ფურგუნი და პოვოსკა! არა, ჩემო ძმაო, აქ რაღაცა სახლინკავი საქმე არის, თავი დავანებოთო. ვნახოთ, ბატონო, გამოჩნდნენ კაცები: სოფლის გლეხებმა უცბად დაიძახეს: მე მომეცითო! და ზოგმა ორი, ზოგმა სამი, ზოგმა ოთხი ცხენები მიიღეს და წაასხეს.

„ბოლოს შევიტყეთ, რომ ეს კაცები სულ დაქირავებულნი ყოფილან, ზოგნი თავადებისაგან, ზოგნი აზნაურებისაგან, ზოგნი პრისტავებისაგან, ზოგნი ჩაფრებისაგან, ზოგნი სომხებისაგან, ზოგნი მღვდლებისაგან და ზოგნი კუდა აზნაურებისაგან (თავადების ნაბიჭვარი)! ეხლა საითაც მიიხედოს კაცმა, ფოშტებში გნებავთ, არხ-

დასტურებთან გნებავთ, თავად-აზნაურებთან, მღვდლებთან პრისტავებთან, თუ ჩაფრებთან — სულ კუდ-შაკრეშილი ცხენები ჰყავთ, უნაგირებიც უდგათ და ფალნებიც! საწყალს გლეხებს კი უარი უთხრეს, შენი რისხვა არა მაქვს, ბატონო რედაქტორო! ზოგ-ზოგი ცხენი ათსა და თხუთმეტს თუმნათ უფრო მეტადაც ღირან. გლეხების სახელობაზედ ნაბოძებით სხვები ხარობენ და ჩვენ, გლეხები, პირ დაღებულნი შევცქერით! ურიგო არ იქნება მთავრობამ ყურადღება მიაქციოს, და ვისაც ეკუთვნისთ, ცხენები იმათვე ჩაბარდეთ — უფრო სამადლობელი და სასარგებლო იქმნება. აგები მეტ ერთი ჯაგლაგის ღირსი გვხდებოდი.“

ამ წერილის თაობაზედ „დროების“ რედაქცია არა უსაფუძვლოდ ამბობს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმაღლესი მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებასა და ჯეროვანად დასჯის იმ მოხელეთა, რომელნიც ასე ბოროტად, ასე უსინიდისოთ სარგებლობენ ერთის მხრით მთავრობის დანდობით და რწმუნებით, და მეორეს მხრით ხალხის უმეცრებით.“

---

ამავე გაზეთში (№ 221) დაბეჭდილია შემდეგი: „ჩვენ შევიტყეთ, რომ, დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის გარდაწყვეტილებით, უფ. ტფილისის გუბერნატორს მიუწერია ყველა უეზდის უფროსებისათვის (გარდა თიონეთისა), რომ ცხენები მხოლოდ იმ პირობით დაურიგეთ ხალხსაო, რომ პაოსკები და ფურგუნები გამართონო, რადგან სახელმწიფო ნივთებისა და სამხედრო მასალების გადასატან-გადმოსატანად არის საჭირო ეს პავოსკები და ფურგუნებიო.

„ეს განკარგულება მართლაც ყველგან გამოუცხადებიათ უეზდის უფროსებს. მაგრამ ხალხს თითქმის ყველგან საძნელოდ დაუნახავს თავისთვის ამ პირობის მიღება და ამის გამო ბევრს სოფელში პირ-და-პირ უთქვამსთ, რომ, რადგან ასეთი გზებია, რომ ფურგუნები და პოვოსკები ვერ ივლიან და არც ვიცით ჩვენ ამათი მოხმარება, ამის გამო არ შეგვიძლიან ამ პირობით ცხენების მიღებაო.

„ქუთაისის გუბერნიაში კი, როგორც გვწერენ, არავითარი პირობა არ დაუდვაათ გლეხებისათვის.“

---

## საინგილო.

(წერილი „ივერიისადმი.“)

ეხლა ხან მივიღე ზაქათალის მაზრიდამ ერთ პატიოსან და სანდო კაცისაგან არა სანუგეშო წერილი, რომელშიაც ის გვიხატავს ქ. ზაქათალის ცხოვრების ნიმუშებს და მის წურბლების ფუფუნს. „წურბლები სახლების აგებაში და მიწების ყიდვაში დროს ატარებენო,“ მწერს. მოგეხსენებათ, მკითხველნო, რომ ხსენებული ქალაქი ცეცხლით თითქმის მთლად გარდაიწვა 1876 წ. ეს განადგურებული ქალაქი შოლკოვნიკოვმა პატარა პატარძალივით მორთო, გაასუფთავა და მეტათ გაამშვენიერა. მაგრამ დახე ბედს! ცეცხლმა გაანადგურა სწორედ იმ დღეს, როდესაც შოლკოვნიკის სამფლობელოს პაჩოტნები უმასპინძლდებოდნენ და საყოველთაოდ ეთხოვებოდნენ თავის „ბეიბუთბეგს“ (ადგილობრივი აშკარა სახელია იმ უფროსისა).... პოდოსაები, მეთქი, არტემაები, კარაპეტები, გუშინ ჯიბე ცარიელნი და ერთი ვირის პატრონები დღეს დროთა ვითარებით სარგებლობენ, ამ ქალაქში, აგებენ საუცხოვო შენობებს და ყიდულობენ უზარმაზარს სახლებს თავის მიწებით. ვინ ჩაუყარათ ამ მამა-ცხონებულებს ამოდენა ფული ჯიბეში! ვინ მისცა მაგალითად ვიღაცა არტემას, ცხრა მთას იქიდან გადმოვარდნილსა ის საუცხოვო ქონება (სახლები, მამულები, ძროხა, ძვირფასი ჭურჭელი და სხვ.)... ჭკუამ? რა ბძანებაა! განათლებამ? შენ არ მომიკვდე. უსვინიდისობამ, გაუმაძღრობამ, ალალი და ცხვარი კაცის სისხლის წოვამ! უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წურბელთა წყალობით ზაქათალის მაზრა ჩამოერთმევოდა სრულიად აქაურს გლეხობასა, თუ გაჭრების მფარველი, და გაჭრების სოფელ-სოფელ დამსახლებელი (იხ. „ივერია“ № 30) უფ. შ. კიდევ დარჩომილიყო ამ უბედურ მაზრის უფროსად. მაგრამ მოგვხედა ღმერთმა წყალობის თვალით და იქმნა დანიშნულ ზაქათალის მაზრის უფროსათ უფ. ს., რომელსაც, როგორც ამბობენ, მეტათ უყვარს საზოგადოთ ქართველებიო და უფრო მეტათ გლეხებიო. ამ პირის დანიშვნამდის მიმალული იყო ის კანონი, რომლის ძალითაც მიწა სახელმწიფო გლეხს ვალში არ ჩამოერთმის; აგრეთვე ის კანონიც, რომლის ძალითაც გლეხს ვალში ვერ აეწერება უსაჭიროესი ნივთეულობა საც-

ხოვრებლად. აი ამ შემთხვევებით სარგებლობდენ ხსენებული წურბლები გლეხებისაგან მამულების ჩამოსართმევად. მაგრამ ჩვენდა სანუგეშოდ ახლა ბედმა უმტყუნა ამ წურბლებს. მრავალი ამათგანი იქაური პრისტავის ხოჯაევის შემწეობით ჭყიდის გლეხის წინართმევს ქონებასა და საიდგანაც მოვიდა იქითკენვე ეშურება. ბევრჯელ გამიგონია ამათგან ამ გვარი სიტყვები: „აღარ ღირს აქ გაჭრობა, სამართლიანათ აღარ გვეპყრობიან.“ მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, მიეშურებიან აქედგან მხოლოდ წვრილი გაჭრები, პოღოსაები, არტემაები და მინასაები; უფრო მსხვილი წურბლები კი, კაი ხნის ფესვებ გადგმულნი, როგორც მოგახსენეთ, არა თუ არ ემზადებიან აქაურობის დატოვებას, პირ-იქით მიწებს ყიდულობენ და სახლებს აგებენ, რომ საუკუნოთ იზაფხულონ ხოლმე ამ ქვეყანაში!...

პირველი გზა და საშვალება ამ გვარ მოღვაწეთა გავლენის მოსასპობლად არის, ჩემის აზრით, იმ გვარ დეპოების და გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის გამართვა, რომელნიც ამ ჟამად არიან სოფ. საგარეჯოში და მეჯვრისხევში.

დეპო უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს სანგილოსთვის და მთელი მაზრისათვის. აქ მოდის მრავალ-გვარი მოსავალი: პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, ხახვი, თამბაქო, ათასნაირი ხილეულობა, ღვინო, აბრეშუმი, თივა და სხვა. ყველა ეს ისე უხვად მოდის, რომ რაც გინდა უნაყოფო წელიწადი იყვეს, მაინც გლეხს უხვად მოსდის ჭინახული. ინგილოს რომ არ აჩანაგებდეს და არ ასუსტებდეს გაუმაძღარა მუქთა მჭამლების გუნდი, კაი შეძლება და სიმდიდრე ექმნებოდათ ინგილოებს! ეხლაც კი, როდესაც ნახევარზე მეტი გლეხის მოსავლისა მიაქვს ვაჭარს, მაინც ინგილონი ისრე არ არიან ღარიბნი, როგორც სხვა ადგილებში საქართველოს არე-მარეზე. დეპოს შეუძლიან ყველა ეს მოსავალი თავის ფასათ იყიდოს და სადაც ძვირ არს იქ გაყიდოს, მაგალ. ტფილისში. დიდი შემოსავალი ექმნება დეპოს, თუ მართლა როდისმე აღსრულდა ეს მეტად კეთილი საქმე. ჩემის აზრით იქაურ დეპოს ორ-გვარი ხასიათი უნდა ჰქონდეს: უნდა მიიღოს აქაური მოსავალი ღირებულ ფასათა, და უნდა ჰქონდეს გასასყიდლად ყოველ-გვარი სავაჭრო, რომელნიც იქ არ არიან და რომელშიაც საჭიროებენ იქაური გლეხები.

სანგილოში არის ერთი სოფელი, რომელიც ყველა იქაურ სოფლებს სჯობია ყოვლის მხრით. ეს სოფ. ალიბეგლო. ამ სოფელში ხალხს რაღაცა ერთ მხრივი სიყვარული და გამტანლობა ამშვენებს. ქურდობა და ერთმანეთის ცემა-ტყეპა მცირად ხდება ხოლმე. აქ მოხელეებიც სხვა ბიჭები არიან. თავის დღეში გაჭარს არ ჩაუგდებენ თავის მოძმეს ფეხ-ქვეშ საქელვად. აგრე იქცევიან პატივცემულ მ. ასლამაზოვის მამასახლისად დაყენების შემდეგ. ეს კაცი ცოტათი ნასწავლია და კარგადაც აღსრულებს თავის თანამდებობას. ეს არ არის იმისთანა გლეხების მყვლეფელი, როგორიც (ახლა ხანს იწერებოდნენ „ივერიაში“) არის საგარეჯოს მამასახლისი. ამ სოფელში დიდი ხანია აშენებულია სასოფლო შკოლისათვის შენობა. ჩვენ გვიკვირს რატომ აქამდე ეს მშვენიერი შენობა ისე გდია! რატომ მმართველობა ყურადღებას არ აქცევს ამ მოვლენას. ალიბეგლოელებს განა არ შეუძლიანთ შეინახონ შკოლის მასწავლებელი თავის ხარჯით? სწავლა არა ჰსურთ ალიბეგლოელების შვილებს? სწავლა სურთ, რადგან იქაური მღვდელი აგერ ერთი წელიწადია ასწავლის პატარა ყმაწვილებს, რომელნიც ძალიან ერთგულად ეკიდებიან ამ საქმესა. მაშ რა არის ამ საქმის მიტოვების მიზეზი? მე მგონია ის, რომ შკოლის სწავლას ცუდათ უყურებენ იგინი, რადგანაც კახის შკოლაში სწავლა რუსულს ენაზე მიდიოდა და ამიტომ ნაყოფი არაფერი გამოჰქონდა. აბა ამ გვარი უთავბოლო, პედაგოგიის წინააღმდეგი განკარგულება რით შეაყვარებდა იქაურ ხალხს შკოლას, თუმცა იგინი მონატრულნი არიან თავისი შვილები სწავლაში მისცენ და გაანათლონ. ჩვენის აზრით მალიან კარგი იქმნებოდა, რომ ამ სოფელს თავისის ხარჯით დაეჭირა საკუთარი მასწავლებელი და საკუთარი შინაურული შკოლა გაეხსნა. კარგი პედაგოგი კარგათ დაჯილდოვებული ამ საქმეს მშვენივრათ წაიყვანდა და დიდს სარგებლობას მოუტანდა ამ მართლა და ნიჭიერს ხალხს. ამ საქმეს ალიბეგლოელებმა დროზედ უნდა მოჰკიდონ ხელი.—ამ სოფლის პირი-ახლოს არის სოფ. ყორაღანი, რომელსაც აგრეთვე არ აკლია შეძლება იყოლიოს მასწავლებელი და ჰქონდეს შკოლა. ესევე

ითქმის სოფელს ბელქანზე, ყლიაპათზე, თალაზე, კატუხზე, მაწეხზე. ჭასზე და სხვ...

დროა, რომ მშობლები შეუდგნენ თავის შვილების აღზრდასა და მოუმზადონ მათ უკეთესი მომავალი.

მ. ჯანაშვილი.

---

## ორიოდე სიტყვა კიდევ მასწავლებელთ კრებაზე.

ჩვენ სასოფლო მასწავლებლების კრებაზე ბევრი რამ ითქვა ამ უკანასკნელს დროს. როგორც უმაღლესმა მმართებლობის პირებმა ისე უდაბლესებმაც, როგორც გაზეთებში ისე პირადაც, ბევრი რამ ილაპარაკეს დღემდისაც ბევრს ჰგონია ვითომ ბევრი რამ გააკეთეს ჩვენმა სოფლის მასწავლებლებმა ამ კრებაზედაო, მაგრამ იმდენი არაფერი. ჰო, იმის თქმა არ შეგვიძლიან რომ სრულიად არაფერი გაუკეთებიათ. აქ გაიცნეს ცოტაოდნათ ახალის მეთოდით სწავლების კანონები, გაიცნეს ერთმანერთი. რასაკვირველია ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მასწავლებლისათვის, თუ კი იგი მას გამოიყენებს როგორც რიგია. ამ შემთხვევაში იმედი გვაქვს ჩვენის მასწავლებლებისა. ერთმა პატიოსანმა გვამმა ამას წინად დასწერა „დროებაში" ჩვენ მასწავლებლებთ ტანსაცმლებზე: მასწავლებლებს მშვენიერი ახალის მოდის ტანთ-საცმელი ეცვათო, ამათ ვერ შეამჩნევდით სოფლის მასწავლებლობასაო. ჩვენთვის სულ ერთია ვის როგორი ტანსაცმელი ეცმის, საქმე მხოლოდ კაცის გულში და მოქმედებაზეა დამოკიდებული. ჩვენ ბევრჯერ ბევრისაგან გაგვიგონია ქება ჩვენს სოფლის მასწავლებლებზე, რომლებსაც პატიოსნად მიჰყავთ თავიანთი საქმე. მართალია ესენი სპეციალურად არ არიან ამ საქმისთვის მომზადებულნი, მაგრამ იმდენად კი არიან ნასწავლნი, რომ თუ მოიწადინეს, შეუძლიანთ შეივსონ სხვა-და-სხვა პედაგოგიურის წიგნების კითხვით ნაკლულევანება. ჩვენ ესეც კარგად ვიცით, რომ ჩვენი მასწავლებლები წავიდნენ სოფლის მასწავლებლად თავისი საკუთარის სურვილით, მისთვის რომ გლეხს დაეხმარონ რამდენადაც შეეძლებათ. ამათ არ ჰქონიათ ფიქრათ გამდიდრება, როგორც ზოგგან ამას ფიქრობენ. რადგანაც, ვიმეორებ კიდევ, იმ განძრახვით წავიდნენ სოფელში, რომ როგორმე დაეხმარონ გაჭირვებულ თავის ძმას — გლეხს, ყველას იმედი უნდა გვქონდეს რომ ეს კაცები არ დაიშურებენ თავს, არ მოერიდებიან შრომას, ეცდებიან სულითა და გულით, რომ რაც შეიძლება თავიანთი შვილები რიგიან გზაზე დააყენონ. მართალია ერთი-ორი მასწავლებელი კი არის ფულის შოვნისთვის წასული, მაგრამ ესენი ვერც ფულს იშოვნიან და ვერც დიდს ხანს დარჩებიან მასწავლებლად.

ზემო ნათქვამის მოსაზრების შემდეგ ყველას იმედი უნდა გვქონდეს, რომ მასწავლებელნი ერთ-გულად მოკიდებენ ხელს თავის საქმეს. მაგრამ რაც უნდა იყოს, თუ თვით მოღვაწეს ხელ-ფეხი შებორკილი აქვს, არაფრის გაკეთება არ შეუძლიან, და ამისათვის ჩვენ ყველანი უნდა ვეცადოთ, რამდენადაც შეიძლება, დავეხმაროთ სიტყვით და საქმით სასოფლო შკოლებს, შევუმსუბუქოთ საქმე ჩვენს მასწავლებლებს, ვუჩვენოთ მას ნაკლულევანება პირუთნებლად. ზოგს კაცს პირში ნაკლულევანების თქმა ძრიელა სწყინს, მაგრამ ჩვენი მასწავლებლები არ იწყენენ, ვიცი. ან რა საწყენია რამე სიმრუდის გასწორება? ეს ყოველი კაცისათჳს სასიამოვნო უნდა იყოს ჩემის ფიქრით, ამისათვის მეც მსურს მივაქციო ჩვენის მასწავლებლების ყურადღება ზოგს იმ ნაკლულევანებაზე, რომლებიც მათ ამ კრების დროს გაუშვეს უყურადღებოდ.

„უშმაკი ტიკს აღბობდა, ღვინო კი არსადა ჰქონდაო." ეს მოუვიდათ ჩვენს მასწავლებლებს და მათს უფროსსაც. მოვიდნენ თბილისში, პროგრამმა შეადგინეს სწავლებისათვის, მაგრამ, დახეთ, როგორც ეხლა აღმოჩნდა, ორს თუ სამს შკოლას გარდა, ან საკუთარი სადგომი არ აქვს საზოგადოებას, ან სტოლები, ან საწერი ფიცარი. კრებაზე კი არც ერთს მასწავლებელს არ უთქვამს ამ ნაკლულევანებაზე. უკეთუ შკოლისათვის საზოგადოებას სადგომი არ აქვს, უმჯობესია, არც შკოლა იყოს. რას მიქვიან უსადგომო შკოლა. ჰაერში, ან მინდორში — ცის ქვეშ ხომ არ შეიძლება სწავლება წერა-კითხვის სწავლა არ შეიძლება უწიგნოდ, უქაღალდოდ, უმელნოდ და ამ გვარადვე შეიძლება უსადგომოდაც, მით უფრო რომ მარტო წერა-კითხვაში ხომ რა არის საქმე ჩვენ გვსურს აღვზარდოთ მომავალი კაცები, ჩვენ გვსურს უმაწვილები გონებით გავხსნათ ისე რომ ამათ, როცა ცხოვრებაში გამოვლენ შეეძლოთ ავისა და კარგის გარჩევა, თანაც, რასაკვირველია, უნდა იცოდნენ წერა-კითხვა საკმაოდ.

სწავლა არ უნდა დაიწყოს მანამ შკოლისათვის ყოველივე უსაჭიროესი ნივთი არ მომზადდება. თუ ეს პირობა არ ასრულდა, საზოგადოებაც ტყუილ-უბრალოდ დახარჯავს ფულებს და მასწავლებელიც დროს დაჰკარგავს. თან საზოგადოებას გაუგრილდება გული შკოლაზე, როგორც ეს მოხდა ბევრგან ჩვენში. 1873 წელში, როდესაც შკოლების საქმე ქუთაისის ღუბერნიაში არეულ-დარეული იყო დომხალივით, უფ. ღუბერნიის მმართველმა მისწერა უეზდის მმართველებს და მომრიგებელ მოსამართლეთ, რომ თვალ-ყური ადევნონ სოფლის საზოგადოებას, რათა მან, უკეთუ შკოლის გახსნა მოიწადინოს, არ გახსნას შკოლა ნაქირავებულ თუ ისე ნათხოვარ სახლში ვიდრე თვით საკუთარი სახლი არ გაიშენოო. ამასთან სწერდა კიდევ: ეცადეთ ხალხს შეაგონოთ და შკოლები გაახსნევინოთ, მე თქვენ დაგაჯილდოვებთ, თუ ბევრს და კარგად მატერიალურად მორთულს შკოლებს გამართავთო; ამასთან გთხოვთ, მიაქციეთ უმთავრესი ყურადღება თვისებას და არა რიცხვს შკოლისასაო; ორი შკოლა იყოს და კარგი, ეს სჯობსო, ვინემ ათი და ცუდიო და სხ. ამ პატიოსანს მოწერილობას ერთი მხრით ყური არ ათხოვეს ჩვენმა მოხელეებმა. ჩამოიარეს საზოგადოება, შეადგინეს განჩინებები შკოლის დაარსებაზე, იმ აზრით რომ რამდენათაც ბევრს შკოლას გავხსნით, იმდენათ ბევრს ჯილდოს მივიღებთო. ზოგიერთებს კიდევაც აუსრულდა ეს სურვილი ამ მმართველის წასვლის შემდეგ ამ გვარის ადგილობრივის მოხელეების წყალობით ქუთაისის ღუბერნიაში ითვლება ამ ჟამად ასზე მეტი სასოფლო შკოლა, რომლებიც ძირიდგანვე გაფუჭებულები არიან და რომლებმაც გაუგრილეს სწავლის მსურველს იმერელს გული სწავლაზე. ტფილისის ღუბერნიის შკოლებს უარესი ბედი მოელის უკეთუ ეს ბოროტება დროზე არ ააცდინეს შკოლებს თავიდამ.

ჩვენში დღესაც ბევრს ჰგონიათ, ვითომ შკოლებში ქართულს ენაზე სწავლების მიზეზნი იყონ მასწავლებლები. სრულიადაც არა. ესენი თავიანთ თავათ ერთმანეთში მართალია ჩურჩულობდნენ: „ვეცადოთ, იქნებ ქართულ ენაზე სწავლის ნება მოგვცეს უფ. დირექტორმაო,“ მაგრამ როდესაც საზოგადოთ საგნების სწავლებაზე„ ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშინ ერთი გარეშე პირის კითხვაზე, თუ რომელ ენაზე იქნება სწავლება ქართულზე თუ რუსულზე, უფ. დირექტორმა სთქვა: რასაკვირველია ქართულზეო. ამ პასუხის დროს მასწავლებლებმა შეხედეს ერთმანეთს და გაიღიმეს. ბოლოს გამოჩნდა, რომ უფ. დირექტორს ნაბრძანები ჰქონდა ასე მთავრობისაგან. აქედამ ცხადათ ვხედავთ, რომ ამის შესახებ მასწავლებლებს არაფერი გაუკეთებიათ. ახლა გადვიდეთ თვით პროგრამმაზე, რომელიც აქ შეიმუშავეს უფ. დირექტორმა და მისმა მასწავლებლებმა. ქართულს ენას, რასაკვირველია, მისცეს უპირატესობა, ასე რომ ყველაფერი ანგარიშიც, ისტორიაც, გეომეტრულის სხეულების სწავლაც, წერა-კითხვაც, ბუნების მეტყველებაც, სამშობლოს ცნობაც. ყველა ესენი ქართულს ენაზე უნდა მიდიოდეს, ხოლო რუსული ენა მესამე წელიწადში უნდა დააწყობიონ, ისეც კვირაში ორი გაკვეთილი, ასე რომ მთელის წლის განმავალობაში ყმაწვილმა ორმოც-და-თექვსმეტი გაკვეთილით უნდა ისწავლოს რუსული ანბანა, წერა-კითხვა და ლაპარაკი გვარიანად მაინც. ისიც რუსულის წიგნის „Родное слово“ პირველის წელიწადით და კალანდარიშვილის რუსულის ენის სასწავლის წიგნით. უკეთუ კურსი მეოთხე წელსაც გაგრძელდეს, იმ შემთხვევაში შენიშვნაშია ნათქვამი — კვირაში სამი გაკვეთილი იქნეს და გაიაროს დანარჩენი ნაწილი „Родное слово-სი“ და კალანდარიშვილის წიგნი.

*) ამ გვარად ან სამოცი გაკვეთილით ან უკეთ ვსთქვათ ას სამოცს საათს ყმაწვილმა უნდა ისწავლოს უცხო ენაზე წერა-კითხვა და თვით ენაც, ე. ი. ლაპარაკი. ძნელი დასაჯერებელია ასე მცირე ხანს ადამიანმა ცოტათ მაინც უცხო ენა ისწავლოს. ყმაწვილი შობიდგან ხუთ წლამდის უნდება მშობლიურს ენას და უცხო ყმაწვილმა ას სამოცს საათს უნდა ისწავლოს უცხო ენაო, თან ამ ენაზე წერა-კითხვაო, ეს არ მესმის. ჩემის აზრით ან რუსულის ენის გაკვეთილებს უნდა მოუმატონ, ანა და სულ უნდა გაანებონ რუსულის სწავლებას თავი. ამ ორში ერთი. მაგრამ ჩემის აზრით თავის განებებას ისევ გაკვეთილების მომატება აჯობებს კვირაში ორი მაინც კიდევ. შეიძლება ვინმემ ჩვენგანმა სთქვას იქნებ რუსული ენა გლეხისათვის საჭირო არ არისო, მაგრამ ამაში შემცდარნი ბრძანდებიან, ვინც ამგვარად ფიქრობს. რუსული ენა ჩვენში ყველასთვის საჭიროა. ავიღოთ მაგალითებრ გლეხი. ქალაქში წაიღებს რამეს გასასყიდლად, იქ რუსული დასჭირდება იქნებმა გლეხმა ისურვა თავის შვილის მიცემა რომელიმე სასწავლებელში, ვთქვათ სახელოსნოში ან სხვაში თუ არ იცის

*) ქვემო მოყვანილ აზრებში რედაქცია არ ეთანხმება ავტორს.

მან რუსული არ მიიღებენ, მოუხდება სადმე გლეხს სამსჯავროში წასვლა, იქაც რუსული სჭირდება, მივა სოფელში ვინმე ჩინოვნიკი რამე საქმისთვის გასარჩევათ გლეხსა და აზნაურს შუა აქაც რუსული სჭირდება, რადგანაც უმეტესობა თავად-აზნაურებისა რუსულის მცოდნენი არიან და თუ გლეხმა არ იცის რუსული, ადვილად შეუძლიათ იმათ მტყუანიც, რომ იყოს თავი გაიმართლონ და ბრალი გლეხს დასდვან. რამდენი ამისთანა საბუთები აქვს რუსულს ენას ვინ ჩამოსთვლის, ამისათვის ვიმეორებ კიდეც რუსულს ენას მიემატოს კიდეც კვირაში ორი გაკვეთილი მაინც ამაზე მეტყვიან სხვა საგნებისთვის დანიშნულს დროს ვერ მოვაკლებთო, მაგრამ ამაზე აი რას ვუპასუხებ: მესამე განყოფილების შაგირდებს ორშაბათს და შაბათს მოუმატოს მეექვსე საათი რუსულის ენისათვის ნასადილევს ან საღამოზე ანადა ერთ დროს სხვა კლასის დასრულების შემდეგ, როგორც დაატყოს მასწავლებელმა.

ა. ჯ.

---

## კიდევ ქართულს გალობაზე.

მის შემდეგ, რაც ყოვლად სამღვდელო, გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ხუთასი მანეთი შესწირა ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღების სასარგებლოდ, მის შემდეგ მეთქი, გახშირდა ლაპარაკი „ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღებაზე.“ ამისათვის ჩვენ თამამად ვიტყვით, რომ ქართულის გალობის აღდგენის თაოსნობა მის ყოვლადსამღვდელოსობას ალექსანდრეს ეკუთვნის. გარდა „დროებისა,“ „ივერიაში“ ხსენებულს საგანზე დაიბეჭდა ოთხი წერილი: უფ. ქართველისა № 8-ში, უფ. არაგველისა № 17, უფ. ივერიელისა № 38 და უფ. პ. უ № 39. საჭიროდ არა ვრაცხ ამ წერილში მოვიყვანო თითოეულის აზრი ხსენებულს საგანზე, რადგანაც, იმედი მაქვს, „ივერიის“ მკითხველს ეხსომება თვითოეულის მათგანის შეხედულობა გალობაზე და მის ნოტებზე გადაღებაზე. მაგრამ აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ რადგანაც უფ. პ. უ წერილში („ივერია“ № 39), ჩვენის აზრით, ზოგიერთი შემცდარი შეხედულება დავინახეთ მუზიკაზე და ნოტების ანბანზე, არ შეგვიძლიან იგინი უყურადღებოდ და შეუნიშვნელად დავსტოვოთ. უფ. პ. უ. წერილი უკანასკნელია ხსენებულს საგანზე (ე. ი. სხვა წერილთა შორის უახლესია). უფ. პ. უ. შეუდარებია ქართლ-კახეთის გალობა იმერულ-გურულს გალობასთან და შეუნიშნავს, რომ „ძირითადი ხმები (კილო?) ერთი და იგივეა ორსავე გალობაში, მაგრამ ხმის ამაღლება და დადაბლება, დაკლაკვნა და გადასვლა, ორსავ გალობას შესამჩნევად ერთმანეთისაგანა ჰყოფს და ერთმანეთში ასხვაფერებს...“ როგორცა ვხედავთ, უფ. პ. უ. შეუმჩნევია — „ძირითადი ხმები (კილო) ორსავე გალობაში ერთი და იგივეაო“ და შემდეგ კი ამბობს: „ნოტები ორსავე კილოს გალობისა (რა არის კილოს გალობა? — არ მესმის!!) უნდა დაიწეროსო უეჭველად და უეჭველადაო“. ამ აზრში ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს. თუ ძირითადი ხმები ერთი და იგივეა ორსავე გალობაში, ნუ თუ არ შეიძლება ხმის სხვა-და-სხვა ამაღლება და დადაბლება ორსავე გალობაში შეთანხმდეს და დარჩეს ძველი, ძირითადი, ნამდვილი კილო ქართულის გალობისა? ჩვენის აზრით — შეიძლება. შეიძლება მით უმეტეს, რომ მ. გ. კარბელოვის გალობა, როგორც თვითონ მ. კარბელოვი ამბობს, გურიიდგან არის გადმოტანილი და, როგორც უფ ივერიელი ამბობს, თუ მართალია, იმერეთ-გურულს ძველს მგალობლებს „აი,“ „უი“ არ ემჩნევათ და იგინი არიან მიმატებულნი მხოლოდ ახალის მგალობლებისაგან, ვითომ გასამშვენებლად, — ცხადია, რომ მ. კარბელოვის გალობა და „ძველი“ გურულის მგალობლებისა ძრიელ მიმსგავსებულნი იქმნებიან ერთმანეთთან. ამისათვის, ვამბობთ ჩვენ, სრულებით არ არის საჭირო ორსავე გალობის გადაღება ნოტებზე, ერთის სიტყვით, უნდა გადაიღოს ნოტებზე მხოლოდ ერთი კილო გალობისა, ის კილო, რომელიც არის ნამდვილი ძირითადი ქართული კილო, რომელიც, ვგონებთ ჩვენ, ჯერ არ დაკარგულა... წინააღმდეგ ამისა, ორის გალობის ნოტები კი არ უნდა დაიწეროს მხოლოდ, უნდა დაიწეროს ბევრის, რადგანაც საქართველოში მხოლოდ ორს კილოზედ არა გალობენ. ჯერ ქართლ-კახეთში ოთხი-ხუთი კილოა... მით უმეტეს საჭიროა მხოლოდ ერთს კილოზედ გალობა, რომ, თუ ვინც იცის გალობის პედაგოგიური მნიშვნელობა, იგი ულბილებს და უკეთილშობილებს ხასიათს ხალხსა, იგი აკავშირებს ერთმანეთთან ხალხსა.... ერთის მხრით საზოგადო გალობით შეიძლება შეკავშირება იმ ჩვენის ხალხის სხვა-და-სხვა ნაწილებისა, რომელნიც ამ ჟამად განშორებულნი არიან „ხასიათით...“

უფ. პ. უ. შეუდგება იმ კითხვის განმარტებას, თუ რომელის მგალობლების გალობით და რა ნოტებით,

უნდა დაიწეროს ქართული გალობა.“ ავტორის აზრით „ქართულს საკრავებში და სიმღერაში ისეთი ხმებია, რომლისათვისაც ევროპიელი ნოტები არ არის (საკმაო?) სწორედ ამ გვარად, როგორც ქართული ასო ყ და ჭ არც ერთს ევროპიელს ანბანში არ არის...“ ამის პასუხი მოკლეა: თუ ქართულის სიმღერების ხმებისათვის ევროპიელი ნოტები საკმაონი არ არიან, მაშ უფ. მ. მაჭავარიანმა როგორ გადიღო ქართული სიმღერები იმ ნოტებზე, რომელთაც თქვენა სცოტაობთ ქართულის სიმღერების გადასაღებად? ნუ თუ უფ. მაჭავარიანმა „ქართული ნოტებიც“ მოიგონა? გარდა ამისა უფ. პ. უ ამბობს: „ვისაც მუზიკისა და გალობისათვის თვალ-ყური მიუჩვევია, ის ადვილად განარჩევს ევროპიულს მუზიკას, გალობას, ჩვენის ქართულისაგან“; მართალია, მაგრამ რა გამოდის აქედგან? განა თვით ევროპის თითოეულის ხალხის მუზიკა და გალობა კი არ განირჩევიან ერთმანეთიდგან?

„ნოტების ანბანი ევროპიულის ხმებისა და მუზიკისათვის არის შემოღებულიო,“ ამბობს კიდევ პ. უ. ცხადია, რომ უფ. პ. უ. კერაკერად სცოდნია გალობის ანუ სიმღერის კანონები, თორემ მოყვანილს აზრს იგი ისე გაბედვით და თამამად არ იტყოდა. თუ ევროპიული ნოტების ანბანი საკმაო არ არის გალობისათვის, მაშ სხვა-და-სხვა ხალხებს სხვა-და-სხვა კანონები ჰქონიათ ტონების ხმების გამოცვლაში, ხმის ამაღლებ-დადაბლებაში. ნუ თუ უფ. პ. უ ჰგონია, რომ ასოს გამოთქმას და ხმის ამაღლებ-დადაბლებას ერთი და იგივე კანონი აქვს? არა. შეიძლება ფრანციელმა ვერ გამოსთქვას ქართული ასო ყ და ჭ, მაგრამ იგი მშვენივრად იგალობებს (გალობის ნოტების მცოდნე) ქართულის სიმღერის კილოს, როგორიც უნდა იყოს, ასოებზე—ანბანზე რომ იყოს დამოკიდებული, ყველა ხალხს თვისი საკუთარი ნოტის ანბანი და მუზიკის კანონები ექმნებოდა, რადგანაც ევროპაში ყველა ხალხს არც ერთნაირი (გამოთქმა)—ანბანი აქვს და არც ერთნაირი კილო მუზიკისა. პ. უ-ის აზრიდგან ის დასკვნაც შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ რადგანაც ბერძნებს მხოლოდ 19 ასო აქვთ ანბანში, ნოტების ანბანიც მოკლე უნდა ქონდეთ. კილო აქვს და არა საკუთარი მუზიკის კანონები და ნოტების ანბანი. მუზიკის კანონები და ნოტების ანბანი ერთი და იგივეა ყველა ხალხებისათვის—ევროპიელისათვისაც და აზიელებისათვისაც, მუზიკის კანონები და ნოტების ანბანი ისეთნაირად არიან შედგენილნი, რომ რა ხასიათისაც უნდა იყვნენ გალობა და სიმღერა საკმაონი არიან იგინი (კანონები და ანბანი) ხმების გამოსახატავად. ამისათვის ევროპიულის ნოტების ანბანი და მუზიკის კანონები საკმაონი არიან ქართულის გალობის გადასაღებადაც; არც ახალის მუზიკის კანონები დაგვჭირდება ჩვენ, არც ახალის ნოტების ანბანი ქართულის გალობის გადაღებისათვის. ვიმეორებ: ევროპიულისა და ქართულის გალობის სხვა-და-სხვაობა სრულიად არ ამტკიცებს, ვითომ მუზიკის კანონებიც განსხვავდებიან. მე ვეთანხმები უფ. პ. უ. იმ აზრზე, რომ გალობის გადამღებმა კარგად (სპეციალურად) უნდა იცოდეს მუზიკის კანონები, მაგრამ ჩვენის აზრით მხოლოდ მუზიკის კარგად ცოდნა საკმაო არ არის გალობის ნოტებზე გადაღებისათვის: გადამღებმა აგრეთვე კარგად უნდა იცოდეს ქართული გალობაც; წინააღმდეგ ამისა ნამდვილად გადაღება ქართულის გალობისა ძნელია—თითქმის შეუძლებელიც. ამ უკანასკნელის აზრის დასამტკიცებლად ჩვენ წარმოვადგენთ სომხურის გალობის ნოტებზე გადაღებას ერთის იტალიელის მიერ, რომელმაც სომხურს გალობას თითქმის დაუკარგა ნაციონალური (ხალხური—მშობლიური) ხასიათი იტალიანურის კილოს დამატებით... ამ ჟამად „გადამღებლად“ ვერავის ვალვიარებთ ჩვენში (ქართლ-კახეთში მაინც), „უფ სავანელმა იცის კარგად მუზიკის კანონებიო.“ მართალია, მაგრამ თუ ამასთანავე უფ. სავანელმა თვით ქართული გალობაც არ იცის (ამისი რა მოგახსენოთ) არა გამოვა რა. ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ამ მიზნისათვის უნდა გაიგზავნოს ერთი თუ რამდენიმე ახალგაზდა ქართველი კონსერვატორიაში (გალობის უმაღლესს სასწავლებელში), რომელმანც ქართული გალობა თუ ძალიან კარგად—სრულიად არა—რამოდენადმე იცოდეს, რომ გადაღებაში ქართული ხალხური ხასიათი და კილო არ შესცვალოს. რამდენიმე ამ გვარი პირები შემიძლიან დავასახელო, ქართლ-კახეთში მყოფთა შორის. ისეთი პირებიც მოიპოვებიან ჩვენში (ქართლ-კახეთში), რომელთაც გვარიანად იციან ნოტებზე გალობა და რამდენადმე ქართული გალობაც. ყველა დამეთანხმება, რომ ამ უკანასკნელ ყმაწვილ-კაცებს უფრო უნდა მიეცეთ უპირატესობა, რადგანაც იგინი უფრო ადვილად შეისწავლიან მუზიკის კანონებს და აგრეთვე თვით ქართულს გალობასაც, რადგანაც მათ საკმაოდა აქვთ სმენა გალობისა გახსნილი. მაგალითად, მე შემიძლიან დავუსახელო საზოგადოებას,

ძმები კარბელოვები (მ. გ. კარბელოვის შვილები), რომელთაც ქართული გალობა კარგად, უკეთესად იციან, ნოტები კი, საუბედუროდ, არა. ძმები ცამციევები, რომელთაც ნოტებზე გალობა გვარიანად იციან და ქართულიც რამდენადმე. უფროსი მათგანი, უფ. აპოლლონ ცამციევი სამი წელიწადი იტალიანურის ოპერის გუნდშიაც გალობდა და, შემიძლიან თამამად ვსთქვა, ნოტებს კარგად კითხულობს. იგი ამ ჟამად იმყოფება ქ. გორის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად. მეორე ძმა, რომან ცამციევი თელავის სასულიერო სასწავლებელშია გალობის მასწავლებლად. ამ უკანასკნელმაც გვარიანად იცის ნოტები და ქართული გალობაც. მე მითხრეს, რომ უფ. რ. ც. „რომელნი ქერუბიმთა“ გადაიღო ნოტებზე და ეკკლესიაშიც აგალობებს თავის მოწაფეებსაო. ქართული სიმღერებიც ჰქონია 30-მდის გადაღებული ნოტებზე და უფ. როჟნოვის „ნოტების ანბანიც“ გადუთარგმნია ქართულად, სახალხო სიმღერები და უფ. როჟნოვის „ნოტების ანბანი“ თ. ი. ჭავჭავაძისათვის გარდაუცია 1877 წელში და ეხლაც იმას აქვს თურმე. თ. ი. ჭ. გაუშინჯვინებია და შესწორება დასჭირებია, მაგრამ უფ. რ. ც შეუძლებლობისა გამო ვერ ჩასულა ქალაქში, რომ შეასწოროს იგინი (სიმღერები), თორემ აქამდინაც დაიბეჭდებოდა თურმე. თუ კი უფ. რ. ც. მცირეს ცოდნით დაუწყვია შრომა ქართულის კილოების ნოტებზე გადაღებისათვის, ცხადია, რომ მას უნდა უყვარდეს მუზიკა და თვით ქართული კილოც. ამისათვის, ამ უკანასკნელს რომ გაგზავნიდეს საზოგადოება მუზიკის შესასწავლად მოსკოვში, პეტერბურღში, ანუ ვარშავში, (მხოლოდ ამ ქალაქებში არსებობენ კონსერვატორიები), ძალიან კარგს იზამდა; მით უმეტეს, რომ თვითონ რ. ც ძრიელა სურს ქართულს გალობას და საზოგადოდ მუზიკას შესწიროს თვისი სიცოცხლე. იმედია, რომ ამ წერილს ყურადღებას მიაქცევს საზოგადოება.—თუ კი მხატვრობის შესასწავლად საზოგადოებამ რამდენიმე ახალ-გაზდა ქართველი გაგზავნა სამზღვარს გარეთ, ნუ თუ ქართულის მოტივების (კილოების) ნოტებზე გადაღება მხატვრობაზე ნაკლებად ყურადღების ღირსი და სასარგებლოა, რომ ერთი ახალ-გაზდა ქართველი მაინც არ გაგზავნოს საზოგადოებამ თავის ხარჯით, თავისავე სასარგებლოდ?! დროა საქმეს შევუდგეთ. აქამდინაც გვიყო მოცდა.

ქართულის გალობის მოყვარე.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

როგორც რუსთ-ოსმალოს ომიანობის წინედ ისე ეხლა თითქმის ყოველი ჩვენი მიმოხილვა იწყობა სიტყვებით: ჯერ არავითარი გარდაწყვეტილი ამბავი არა ისმის რა აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ. ყოველ დღე ჩნდება იმ გვარი ახალი საქმე, რომელიც არამც თუ მშვიდობიანობას არ უქადის ევროპას, არამედ უფრო და უფრო ჰხლართავს სახელმწიფოთა ურთიერთობას და მოასწავებს იმისთანა განსაცდელს და უბედურებას, როგორიც დიდი ხანია არ უნახავს ევროპას. ერთი ამ საქმეთაგანი არის ბოლგარიელთა აჯანყება, რომელიც მოედო თურმე მაკედონიის ბოლგარიელთაც. ყველა ეს რასაკვირველია ჯერ-ჯერობით იმდენად ძნელი საქმეა, რომ მასზედ გარდაწყვეტილი და განვითარებული სჯა და მსჯელობა შეუძლებელია. მაგრამ ზოგიერთა გარემოება ცნობაში არის მოყვანილი და ცოტათ თუ ბევრად ნათელსა ჰხდის საქმეს. მაკედონიისა და რუმელიის ბოლგარიელებმა ამას წინად თხოვნა მიართვეს ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს ოსმალეთის წინაშე. ამ თხოვნაში მოხსენებულია, სხვათა შორის, რომ ბოლგარიელებს იმედი ჰქონდათ მშვიდად და უიარაღოდ მოეპოვათ თავისუფლება, მაგრამ მათდა სამწუხაროდ დარწმუნდნენ, რომ თვისი ერთობა ძალმომრეობით უნდა დაიპყრან. კონგრესის მიერ დაყოფა ბოლგარიისა ორ ნაწილად არ აკმაყოფილებსო არავითარ ჩვენ მოთხოვნილებასაო. ესრედ წოდებული აღმოსავლეთის რუმელია გადაყოფილია ჩრდილოეთის ბოლგარიისაგან, ის კი არა თუ მაკედონია—დედა სამშობლო ბოლგარიის ხალხისა—ისევ ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ არის დარჩენილიო. თუმცა მაკედონიის ჩრდილოეთით და რუმელიაში უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა ბოლგარიელნი არიანო, მაგრამ მაინც მათ იმედი არა აქვთო, რომ მათ სამართლიან მოთხოვნილებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენო.

ერთის სიტყვით ბოლგარიელნი თხოულობენ თურმე, რომ მათი ქვეყანა და სამეფო იმ სივრცეზედ იყოს დადგენილი და იმ საზღვრებით იყოს შემორტყმული, როგორც სან-სტეფანოს მორიგების პირობებში იყო მოხსენებული. ოსმალეთი ამ ბოლგარიელთა აჯანყებას აბრალებს, რასაკვირველია, რუსეთს, რომელიც ყოველ საშუალებას ხმარობსო, აგები როგორმე ბერლინის ტრაკტატს

ფეხი მოედოსო და ისევ ჩემი თავ-და-პირველი სურვილი, სან-სტეფანოში აღიარებული, ამისრულდესო. მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბერლინის ტრაკტატი ყველა სახელმწიფოს უდგია პირში მხოლოდ იქამდე, მანამ ცოტად თუ ბევრად არ გამოაშკარავდება თუ ვის რა ლუკმა ჰსურს ჩაყლაპოს ოსმალეთის ქონებაში. ერთი ნემეცური გაზეთი ბოლგარიის აჯანყების თაობაზედ ამბობს შემდეგს: „ბერლინის კონგრესს მოჰყვა იმ გვარი მდგომარეობა, რომელსაც არავითარი სიმტკიცე და სიმკვიდრე არა აქვს. მიიღეს ევროპაში თან-და-თან მკვიდრდება რწმენა, რომ ამ დროებითს მდგომარეობას მოჰყვება არა ის, რაც სან-სტეფანოს და ბერლინის პირშეკრულობაში იყო აღიარებული. არავის არა სჯერა, რომ ავსტრიამ მშვიდობიანად დაუბრუნოს ოსმალეთს ბოსნია და ჰერცოგოვინა და 250,000 რუსის ჯარი უკანვე დაბრუნდეს და დასტოვოს ბოლგარიელები და სხვა „ძმები" პირის-პირ ოსმალებთან. ევროპაში ძნელა-ღა თუ ჰგონია ვისმე, რომ ხონთქარი როდისმე გამოჰყრის მის ხალხში მსხდომ მტრებსა და მაგრა დაჯდება ოსმალოების მკვიდრ ტახტზედა. დღეს ან ხვალ, ბოლგარიელნი თუ ოსმალები, რუსები თუ ბერძნები, ავგანიელნი თუ ალბანიელნი, ავსტრიელები თუ ინგლისელები სცენაზედ წამოაყენებენ მეოთხე მოქმედებას აღმოსავლეთის დროებისას, რომელიც დაასბოლავებს საქმეს. ამაში დარწმუნებისათვის საკმაოა გადავავლოთ თვალი ბალკანის ნახევარ-კუნძულის აწინდელ მდგომარეობას: დასავლეთით უფლობენ ავსტრიელნი, სერბიელები, ჩერნოგორიელნი და ალბანიელთა ლიგა; ბოლგარიაში და აღმოსავლეთის რუმელიაში — რუსები; როდოპის მთებში — ინსურგენტები (აჯანყებულნი), მაკედონიაშიაც — ინსურგენტები; ოსმალები მკვიდრად დგანან მხოლოდ სტამბოლისაკენ და მიტროვიცს. ძალა, რომელზედაც არის დამოკიდებული საქმის გარდაწყვეტა, არსებობს ღენ. ტოტლებენის ბანაკში, გარდა ავსტრიელებისა, რომელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ეს ძალა, მაგრამ არ უნდათ. ოსმალეთის მცხოვრებთა თვალში არსებობს მხოლოდ ერთი უფლება — რუსის მხედრობა. მაგრამ რუსებს შეუძლიან სთქვან, ჩვენთვის სრულიად სასარგებლო არ არისო მსხვერპლი დავდვათ ამ არეულობის მოსპობისათვისაო. აბა რა საფიქრებელია, რომ ამაობაში წესიერება დამყარდება და ბერლინის კონგრესის განაჩენი აღსრულდება, როდესაც ვისაც შეუძლიან რამ იმას არა ჰსურს საქმის დალაგება და ვისაც ჰსურს — არაფერი არ შეუძლიან. აღმოსავლეთის საქმე ეხლა პირ-და-პირ შეიქმნა საქმედ ოსმალეთის გაქარწყლებისა ევროპაში და თავის თავად უნდა გარდაწყდეს. ევროპის ოსმალეთი თითქმის სრულიად დაიშალა, მაგრამ ხალხნი, რომელთაგან უნდა შედგნენ ახალი სახელმწიფონი, ეხლა უფრო გადამტერებული არიან ერთი-ერთმანერთზედ, ვიდრე ოდესმე".

ოსმალეთის გაჭირვებულ მდგომარეობას შეადგენს არა მარტო ბოლგარიელთა აჯანყება. ამას მოსდევს კიდევ მრავალი უბედურება, როგორც მაგალითებრ ოსმალოს ჯარის კაცების გაპარვა სხვა და სხვა გუნდებიდამ. ამის შესახებ ზემოხსენებული ნემეცური გაზეთი იწერება შემდეგს: ყველა, ვინც კი იცნობს ოსმალოს მხედრობას, დამეთანხმება, რომ ოსმალოს ჯარის კაცი უკეთესი მასალაა ლაშკარისათვის. იგი არ არის ბევრის მომდომი და ადვილად კმაყოფილდება თვის მოთხოვნილებაში; იგი არის მშვიდი, ბეჯითი, დამყოლი და მამაცი. აი ეხლა კი ამისთანა კაცები იპარებიან პოლკებიდამ, აქა-იქ დაეხეტებიან და მოწყალებას თხოულობენ, ან არა და უდგებიან ქურდებს და ავაზაკებს. რამდენიმე წლის განმავლობაში ოსმალეთის მთავრობა არას დასდევდა ჯარის კაცის მდგომარეობას, და ეხლა თვითონვე მკის რაც დათესა. სრულის რწმენით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ ოსმალოს სალდათი იპარება ჯარიდამ, ამაში მხოლოდ განწირული მდგომარეობა არის მიზეზი; ჯამაგირი მას არ ეძლევა, მის კანონიერ მოთხოვნილებას არავინ არ ისმენს და მთელი სამხედრო მმართველობა არეულ-დარეულია".

მეორე ნემეცურ გაზეთში სტამბოლიდამ იწერებიან შემდეგს: „აქაური საზოგადოება, როგორც ოსმალთა ისე ევროპიელთაც ძალიან აღელვებულნი არიან და შიშით მოელიან მომავალს. სტამბოლს ყოველ დღე მოდიან აზიიდამ ის უცნაური ადამიანები, გათუთხნულ ტანისამოსში ჩაცმულნი; ზოგი ფეხ-შიშველა, რომელთაც მივაჩვიეთ თვალი უკანასკნელ ომიანობის დროს. ეს ახალი რეკრუტები არიან ანატოლიიდამ; მათ საჩქაროდ რთავენ სამხედრო ტანისამოსში, აძლევენ თოფ-იარაღს და ბეჯითად ასწავლიან სამხედრო საქმეს. ამ ზაფხულს მთავრობა ასე არა ჩქარობდა და რეკრუტები კვირის-კვირობამდე დაეხეტებოდნენ ქუჩა-ქუჩა უსაქმოდ. გაწრთვნილი სალდათები ყოველ დღე იგზავნებიან კოსოვას (ავსტრიის ჯარის მოპირდაპირედ) იქაურ მხედრობის გაძლიერებისა-

თვის. თუმცა ოფიციალური გაზეთები ამბობენ ეს მხედრობა ოც ან ოცდა თხუთმეტ ათასს კაცზედ მეტი არ იქმნებაო, მაგრამ ნამდვილად ცნობილია რომ მარტო სტამბოლიდამ არის გაგზავნილი სამოცი ათასი კაცი.— მაზედ, თუ როგორ დახვდება ოსმალეთის ხალხი ახალს ომს (თუ ასტყდა) ჯერ-ჯერობით არა ითქმის რა. ის კი ნამდვილია, ავსტრიელებთან ომი უფრო მოსაწონი იქმნება, ვიდრე სხვა მტერთან. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაჭერამ ძალიან შეაძულა ავსტრიელები ოსმალებს, ჯერ იმიტომ რომ ავსტრიელებმა ისარგებლეს ოსმალეთის დასუსტებით და წაართვეს ორი დიდი პროვინცია; მერე იმიტომ რომ ავსტრიის სამხედრო უფროსები სასტიკად და უდიერად ექიდებოდნენ ოსმალებს".

— რა მდგომარეობაშია ოსმალეთი ამ ჟამად — გვიჩვენებს, სხვათა შორის, გაზეთის „Temps"-ის შემდეგი წერილი რომელიც მისულია მას აღმოსავლეთ რუმელიიდამ: „რუსის ჯარი რომ გადის აქედგან იქაურ ადგილებს უფრო და უფრო უჭირდებათ მდგომარეობა, ჩემს მოგზაურობაში ყველგან მესმოდა ჩივილი ამის თაობაზედ. ჩატალჯას, სადაც ერთ სახლობაში ვიყავ ჩამომხტარი, ოთახში შემომივარდნენ თითქმის ყველა წევრნი სახლობისა; ორი ქალი თითს იშვერდა ხელს კუთხისაკენ, სადაც იჯდა მათი მოხუცებული მამა და მანიშნებდა ხელით — ეს ეს არის მამა ჩვენს ყელს გამოსჭრიანო. უნდა მოგახსენოთ, რომ ესენი ბერძნები იყვნენ, რომელთაც ოსმალოები უფრო ნაკლებ ემტერებოდნენ ვიდრე სხვებს. რაც შეეხებათ ბოლგარიელებს, მათ სრულიად დაუნებებიათ თავი თავიანთ სოფლებისათვის; გზაზედ ნახავთ მრავალ პოვოსკას, გავსებულს ბოლგარიელთ სახლობით და ბარგით. მათის სიგლახავის ნახვა გულს უწვავს კაცს. მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ღონისძიება, რომ ერთიერთმანერთის ჯავრის ამოყრა სისხლის დაღვრამდე არ მოვიდეს. ორი ოსმალოს პოლკოვნიკი, ტაგირ-ბეი და ალი-ბეი ღენერალ სკობელოვის შტაბში არიან იმ განზრახვით, რომ ერთსა და იმავე დროს მოხდეს როგორც რუსის ჯარის გასვლა ისე ოსმალოს ჯარის შემოსვლა მის ნაცვლად, ეს აფიცრები დიდ გაჭირებაში არიან; კარგათ იციან, რომ მათ მთავრობა ვერას გზით ვერ ააცილებს ოსმალთა ძალადობას და ჯავრის ამოყრას, და იმავე დროს პასუხი კი უნდა გასცენ ყველაფერში რაც რამ ავაზაკობა ან კაცის კვლა მოხდება იმ ადგილას". შემდეგ კორრესპონდენტი ამბობს, რომ ოსმალები და ბოლგარიელები ესეთ ნაირად არიან გადამტერებულნი ერთიერთმანერთზედ, რომ ენა ვერ გამოსთქვამსო თუ რა უმსგავსობას შვრებიან ერთნიცა და მეორენიცაო.

— როგორ გათავდა საფრანგეთში დელეგატების არჩევანი, ჯერ-ჯერობით არ ვიცით, ე. ი. არ ვიცით ნამდვილად რამდენი რესპუბლიკის მომხრე დელეგატი ამოურჩევიათ და რამდენი მოწინააღმდეგე. რესპუბლიკის მომხრე გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალ სენატში (იანვრის არჩევანის შემდეგ) რესპუბლიკის დასი თხუთმეტ კაცით მაინც გადააჭარბებსო მონარხიელთ დასს.

## რამეთუ კაცი ვარ.

(შემდეგი *)

### XI

როცა გერმასი გადმოხტა ცენტურიონის სახლის ფანჯრიდამ, მას შემდეგ ორიოდე წუთსაც ძლივ გაიარა რომ ფებიცი შევიდა თავის საწოლს ოთახში. სირონას მოესწრო და ქვეშსაგებში ჩაწოლილიყო, და შიშით შეპყრობილს პირი კედლისაკენ მიექცია. შეუტყვია ფებიცს, რომ აქ უცხო კაცი იყო, თუ არაო? ფიქრობდა სირონა: ნეტა ვინ გაგვცაო და ვინ მოიყვანა ფებიციო?

ოთახში ბნელოდა, მაგრამ მაინც სირონას თვალები დაეხუჭნა და თავი მოიმძინარა. გული ისე ძლიერ უცემდა, რომ ეშინოდა გულის-ცემა არ შემიტყოსო ფებიცმა, რომელიც ნელ-ნელა ფეხ-აკრეფით მოდიოდა სირონასთან. სირონამ ნახა, რომ ფებიცმა ამ ოთახში აქედ-იქით იტრიალა და ბოლოს გავიდა სამზარეულოში, რომელიც იქავ საწოლს ოთახთან იყო.

ამის შემდეგ ბევრი ხანი არ გასულა, რომ სირონას თვალებმა სათელი იგრძნეს. ფებიცის ანთო სამზარეულოში. კანდელი და კანდლით ხელში ათვალიერებდა ორივე ოთახს. ჯერ სირონასთვის ხმაც არ გაეცა და არც ერთი სიტყვა არ წარმოეთქვა ეხლა ფებიცი დიდს ოთახში შევიდა და უეცრად მოჰყვა ხარხარს; ისე ხმა მაღლა და დაცინებით ხარხარებდა, რომ სირონა მოიკუნტა და საბანი თავზედ გადიფარა. სირონამ იგრძნო, რომ ხელ-ფეხი უცივდება.

*) «ივერია» № 42. 1878 წლისა.

ხელახლად განათდა სირონას ოთახი და კანდლის სინათლე თან და თან უახლოვდებოდა სირონას. ფებიციმ თავისი ბრიყვი ხელი გაიქნივა და დაჰკრა თავის ცოლს თავში. სირონამ მაშინვე გადიგდო საბანი და ქვეშაგებიდამ წამოხტა.

ფებიცი ჯერ კიდევ ხმას არ იღებდა; მაგრამ რაც სირონამ თავისის თვალით მაშინ დაინახა, ისიც სამყოფი იყო, რომ ყოველივე იმედი და ნუგეში დაჰკარგოდა. თვალები აფთარსავით ანთებოდა, სახე ისეც უგემური შეშლოდა გაბოროტებისაგან და შუბლზედ უფრო თვალ-საჩინოდ ეტყობოდა დაღსავით დასმული ნიშანი მიტრისა. მარჯვენა ხელში კანდელი ეჭირა და მარცხენაში—ტყაპუჭი გერმასისა.

როცა მან თავისი უძრავი თვალი სირონას თვალს გაუსწორა, აიღო გერმასის ტყაპუჭი და თავის ცოლს ზედ ცხვირთან მიუტანა. მერე გაავთრებით იქით გაჰსტყორცნა ტყაპუჭი და ხრინწიანის ხმით ჰკითხა: ეს რას ნიშნავსო?

სირონა ხმას არა ჰსცემდა, ფებიცი მივიდა სირონას ქვეშაგებთან, იქ წყლით სავსე იდგა მშვენიერი ლიტრა, რომელიც პოლიკარპს მოეტანა ალექსანდრიიდამ და ეჩუქებინა სირონასთვის; ფებიციმ დაავლო ამ ლიტრას ხელი და დაახალა ქვის იატაკზედ. ლიტრა დაიმსხვრა და მისი ნატეხები გაიფანტა.

სირონამ შეჰკივლა. პატარა გოშია შეხტა ქვეშაგებზედ და ფებიცის დაუწყო ყეფა. ფებიციმ საწყალს პირუტყვს ჩაავლო ხელი საყელურში და ისე შორს გაჰსტყორცნა, რომ ძაღლმა საცოდავად დაიწყო კნავილი. ჯერ გათხოვილიც არ იყო, რომ სირონას ეგ ძაღლი ჰყვანდა. როცა რომში წამოვიდა, ის ძაღლი თან მოჰყვა და მერე რომიდამ აქ წამოიყვანა, სირონა და ძაღლი ძალიან მიეჩვივნენ ერთმანეთს და სირონას ძალიანაც უყვარდა. იმზას ყველაზედ მეტად ის უხაროდა ხოლმე, როცა ეს ყმაწვილი ქალი ეთამაშებოდა და ეალერსებოდა. სირონა ხშირად, ძალიან ხშირად მარტოდ რჩებოდა ხოლმე, მაგრამ ეს პატარა ძაღლი კი არას დროს არ შორდებოდა. იმზა მოაგონებდა ხოლმე საყვარელს სამშობლოს, საყვარელს დედის, რომლით ამბავი აი მთელი წელიწადია, რაც აღარ მოსვლოდა. იმზა ყოველთვის თანაუგრძნობდა, როცა სევდა მოაწვებოდა გულზედ მის ლამაზს ქალბატონს და ნაღვლიანად მოუყვებოდა ხელის ლოკვას, როცა მის ქალბატონს სამშობლოის მოგონება თვალში ცრემლს მოჰგვრიდა ხოლმე. იმ მარტოობაში და უქმობაში, რომელშიაც იმყოფებოდა სირონა, ის ძაღლი დიდი, ძალიან დიდი რამ იყო სირონასათვის. გული მოუკვდა, როცა სირონამ დაინახა, რომ იმ საწყალმა პირუტყვმა საცოდავის კნავილით აითრია ნატკენი ფეხი და მისკენ გაჰსწია. ჯავრზედ მოსულს სრულად დაეკარგა გულიდამ შიში, წამოვარდა ქვეშაგებიდამ, აიყვანა ხელში ძაღლი და ჰსთქვა გაბედვით და უშიშრად:

— აღარ გაბედო ამის ხელის ხლება,—გესმის თუ არა!... მე ეს ამიკრძალავს შენთვის!...

— მე ხვალვე წყალში დავახჩობ, უპასუხა ფებიციმ გულდინჯად, მაგრამ ბოროტის ტუჩის ბრეცითა: ჩემს სახლში ამთვენი ორ-ფეხი კუროები დადიან, რომ არავითარს საბუთს არა ვხედავ ამ ოთხ-ფეხსაც შენს ალერსს უზიარებდე... ეს ტყაპუჭი როდის აქეთია, რაც აქ არის?

სირონამ არ აღირსა ამაზედ პასუხი და გულ-ამოჯდომით შეჰსძახა;

— შენს ღმერთს გაფიცებ... თუ შენ იმზას დაუშავებ რასმეს, შენ მე აქ ვეღარ მინახულებ.

— მაშ ეგრეა საქმე! დაიძახა ცენტურიონმა: საით აპირობ წაბძანებას? უდაბნო დიდია, იქ ბევრი ადგილია ხორცის სალპობათ და თეთრის ძვლების საყრელათ.... მერე რა რიგად ეწყინებათ ეგ ამბავი შენს კუროებს! არა, ჩემო ბატონო! მე იმათ გულისათვის მაინც, რომ სხვა არა იყოს რა კიდრე ძაღლს დავახჩობდე, ჯერ ძაღლის ქალბატონი უნდა დაკეტილში დავამწყვდიო.

— ნეტავი არ მინდა ერთი ხელი მახლო! დაიძახა სირონამ გულზედ მოსულმა და ფანჯარაზედ შეხტა: აბა ერთი თითი დამაწე,—და მე ხალხს დავუძახებ საშველად; დოროტეა და მისი მეუღლე მომეშველებიან და დამიხსნიან შენის ხელისაგან.

— არა მგონია, უთხრა მკვახედ ფებიციმ: მე ვიცი, შენ ძალიან გინდა ერთ ჭერს ქვეშ იყო იმ სალახანა ბიჭთან, რომელიც შენ გიფეშქაშებს ხოლმე ლამაზს ლიტრებს და ფანჯრებიდამ ვარდებს გაწვდის. მაგრამ ქვეყანაზედ ჯერ კიდევ არსებობენ კანონები, რომელნიც იფარვენ რომაელს მოქალაქეს სალახანათაგან. შენ მეტის-მეტად ხშირად დაეთრევოდი დოროტეასთან და იმის პატარა ბავშვებთან რომ ცელქობდი, იმისათვის ცელქობდი, რომ ხშირად შეხვედროდი სხვას, უფრო მოზრდილს ბავშვს.

იმ ვარდების მომრთმევს, იმ გაწურთვნილს მაიმუნს, რომელსაც ეს ტუაპუჩი ჩაუცვავს თავის მდიდრულ ტანისამოსის მაგიერ, მითამ და არავინ მიცნსო. მე შენ ეხლავ თავიდამ ფეხამდე გხედავ, რაცა ხარ. შენ იმას იქით აქედამ ერთს ბიჯსაც ვეღარ გადასდგამ, პეტრეს სახლის დირეზედ ფეხს აღარ დაგადგმევინებ. აი ღია ფანჯარა. იყვირე ვინმე მოგწყინდებოდესო და ქვეყანას გაუმჟღავნე შენი თავზედ ლაფი. ხვალ ამ ტუაპუჩს მსაჯულს წარვუდგენ, ეხლა კი წავალ და მოგიმზადებ ოთახს სამზარეულოს უკან, იქ ფანჯარა არ არის, რომ იქიდამ ჩემს სახლში ტუაპუჩის შემოტანა ვისგანმე შესაძლო იყოს, შენი სადგომი იქ იქნება, ვიდრე არ დაჩვკვიანდები, ვიდრე მე ფეხზედ კოცნას არ დამიწყებ და არ მიამბობ ამაღამ აქ რა ამბავი მოხდა. სენატორის მოსამსახურეებს მე ვერას გათქმევინებ, ეგ მე ვიცი, შენ ისეთი ჯადო გიქნია იმათთვის. სიხარულისაგან ისინი თავიანთ თეთრს კბილებს ჰკრიჭვენ ხოლმე, როცა შენა გხედვენ. შენთვის ხომ ყველაა საყვარელი, ისინიც კი, ვინც ტუაპუჩით დაიარებიან ეხლა კი მე წავალ. ნებას გაძლევ იმდენი იყვირო, რამდენიც გნებავდეს, მაგრამ კი უფრო კარგი იქნებოდა, რომ ჩუმად იყო. ძაღლის თაობაზედ ჩვენ მერეც მოვილაპარაკებთ. ჯერ კი მე ხელს არ გახლებ თუ შენ შენი თავი რიგიანად ეჭირება და შენს ჭკუაზედ მოხვალ, ძაღლს არა დაემართება რა და თუ გამიჯიუტდები, თოკი და ქვა და იმისი ჯანი; წყალიც აქავე მოდის. მე არას დროს არა ვხუმრობ და დღეს უფრო ხუმრობის გუნებაზედ არა ვარ.

მთელი აგებულება სირონასი საშინლად იყო ცეცხლ მოკიდებული, ყოველი ასო უთრთოდა, სული უგუბდებოდა და ვერ ეპოვნა სიტყვა რომ პასუხი გაეცა. ფებიცი ხედავდა რაც ამბავია და უთხრა:

— მე ვხედავ, გააფთრებისაგან ხმა ვეღარ ამოგიღია, მაგრამ კიდევ მოვა დრო, რომ მოცოცდები ჩემთან, როგორც შენი კოჭლი ძაღლი და შემეხვეწები მაპატიეო. დაიცა, მე ერთი ახალი ფიქრი მომივიდა: შენ ხომ ქვეშაგები გინდა შენს ახალს სადგურში, მერე ლბილი ქვეშაგებიც, თორემ შენი კუროები გამიწურებიან, და აი ეს ტუაპურჩი გაიშალე. აი ხედავ, რა რიგის პატივისცემით ვექცევი შენის კუროების ფეშქაშებს!

გალილეულმა ჩაიხარხარა, წაავლო ხელი ტუაპუჩს და განდელით ხელში გაჰსწია სამზარეულოს იქით ოთახისაკენ. იქ ყოველ-გვარი ჭურჭელი და ხორაგი ინახებოდა ხოლმე. ფებიცმ ყველაფერი გამოყარა იქიდამ და ბნელი ოთახი საწოლ ოთახათ მოუმზადა თავის ცოლს, რომლის დანაშაულობაში არავითარი ეჭვი აღარ ჰქონდა. რომელს კაცზედ გასცვალა ცოლმა, ეგ არ იცოდა, იმიტომრომ მირიამმა მარტო ეს უთხრა: „შინ წადი, იქ შენი ცოლი თავის საყვარლებთან კასკასებს და ხარხარებსო“

სირონა, ყურს რომ უგდებდა თავისის ქმრის მუქარას, ამბობდა გულში: თავს მოვიკლავ და ამ კაცთან აღარ ვიცხოვრებო. ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ თვითონაც დამნაშავეა.

ვისაც მომეტებულს სასჯელს უჩენენ, ვიდრე დანაშაულობა აქვს, იგი თავის საკუთარს დამნაშაობას ივიწყებს და ბრალსა ჰსდებს ხოლმე მარტო მსაჯულსა.

ფებიცი მართალი იყო: ვერც პეტრე, ვერც დოროტეა ვერ დაიფარავდნენ სირონას მისგან, რომაელის მოქალაქისაგან, თუ თვითონ სირონა არ უშველიდა თავისთავს, ისე ტყვედ უნდა დარჩენილიყო. ხოლო სირონას არ შეეძლო სული ებრუნებინა, ეცხოვრა, თუ ჰაერი, სინათლე და თავისუფლება არ ექმნებოდა, სირონამ მალე მოისაზრა, რაც უნდა ექმნა. რა წამსაც ფებიცმ ფეხი გადგა კარებიდამ და გავიდა, ხელში აიყვანა აკანკალებული ძაღლი, შეახვია საბანში, როგორც პატარა ბავშვი, მიიკრა გულზედ და შევარდა დიდს ოთახში. იქ ჯერ კიდევ ღია იყო ფანჯარა, საიდამაც გერმასი გაიპარა. მიიდგა სკამი, ავიდა ფანჯარაზედ, ფანჯრიდამ გადვიდა ქუჩაზედ და გასწია, თითონაც არ იცოდა საითკენ. მარტო ის უნდოდა, რომ დამწყვდევას გადარჩენოდა და საუკუნოდ განშორებოდა თავის შეძულებულს ქმარს. სირონა დაადგა გზას, რომელიც სინაიაზედ გადადიოდა და ზღვის პირამდე მიდიოდა. ფებიცმ ბევრი დრო მიჰსცა სირონას, რომ ეს მოეხდინა. მინამ ის ბნელს ოთახში ფუსფუსებდა და მას მერმედ შესასვენად დაჯდა, რადგანაც ძალიან დაიღალა, სირონამ თავს უშველა. ფებიცი თითქმის სამოცის წლის კაცი იყო და მის წინად მაგარს და ბოლოს გარყვნილობისაგან გაცვეთილს აგებულებას ვეღარ აეტანა იმ ღამის ამბების ზედ-მოქმედება. ხელი და ფეხი უყინდებოდა, თვალები ენთებოდა, ღონე აღარ ჰქონდა, რომ თითი გაენძრია. მის სანაცვლოდ შეუცოვარის ძალით გულს უმღვრევდა მოგონება ყოფილისა და წარსულისა.

— რა რიგ უბრიალებდა თვალი მირიამს, როცა ჩემის ცოლის ღალატი მაცნობა. ან იმისთანა რა უნდა დაეშავებინოს მირიამისათვის სირონას? ქალები ხომ თვალით დაატყვევებენ ხოლმე კაცის გულს, როგორც მონადირე მახეთი ფრინველს. რამდენი თავ-მომწონე კოხტა უმაწვილი-კაცი დაჰსდევდა ხოლმე რომში! ნუ თუ იქავ მღალატობდა მე სირონა? ლეგატი კვინტილლა, რომელიც მარტო ჩემის ცოლის გამო დამიმეგობრდა, სირონამ ახლოც არ გაიკარა, თუმცა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ სირონა გაარშიყებოდა. მაგრამ ის ჩემზედ ბებერი იყო, სირონას კი ჩვენზედ ახალ-გაზრდები უყვარს. სირონაც ის ყოფილა, რაც სხვანი! ეს ადრევ უნდა მცოდნოდა. ესე ყოფილა ამ წუთის სოფელში: დღეს შენა ჰსცემ, ხვალ შენ გცემენ.

მწარე ღიმილი მოუვიდა ტუჩებზედ ცენტურიონს. მალე გაუქრა ღიმილი და მის მაგიერ მძიმე და შავი ფიქრები მოაწვნენ გულზედ. ვერაფერი სურათები გამოუხატა გუნებაში. მას მოაგონდა თავისი კეთილის-მყოფელი უფროსი ტრიბუნი სერვიონი, რომლის ლამაზი ცოლიც შეაცდინა თვითონ ფებიცემ. მოატყუა, დაანებებინა თავი ქმარსა და შვილს და გააქცია. ფებიცი შეიპყრო უგუნურმა ფიქრმა, ვითომ თვითონ ტრიბუნი სერვიონია და იმავე დროს ფებიცადვეა დარჩომილი. მთელი სიმწარე, მთელი ტანჯვა, რაც მისმა მოტყუებულმა კეთილის-მყოფელმა გამოიარა, როცა მოჰსტაცეს ცოლი, მისი ლამაზი გლიცერა, ეხლა ფებიცემ თავის-თავზედ გამოჰსცადა. ერთის მხრით ფიქრობდა თავი გადერჩინა გაბოროტებულის ქმრისაგან, მეორეს მხრით — ჯავრი ამოეყარა თავისის ცოლის შემაცდენელისა ბოლოს გუნებიდამ დაეკარგა თავისის საკუთარის თავის ხსოვნა. აზრები ისე ნაირად აერივა, რომ ჭკვიდამ შეცდომის ფიქრი მიეცა. ხმა მაღლა ამოიოხრა.

თავის საკუთარმა ხმამ გამოაფხიზლა და გონება დაუბრუნა. ეხლა კი თავისი თავი ფებიცათ იცნო და არა სხვა კაცათ, მაგრამ მაინც კიდევ სრულად არ იყო გამოსული ბურანისაგან. მაინც კიდევ ელანდებოდა სახე მშვენიერის გლიცერასი, რომელსაც მან თავი მიანება ალექსანდრიაში მას შემდეგ რა კი გაფლანგა თავისი უკანასკნელი მინალთუნი და გლიცერას ნივთეულობა.

ამისი უბედური საყვარელი გლიცერა იყო. იგი ბევრსაც ჰსტიროდა და ცოტას იცინოდა ხოლმე მას აქედ, რაც ქმარს გამოექცა. ფებიცის მისი ჩუმი სამდურავი ელანდებოდა. ამავე დროს მოეჩვენა, რომ სირონა წინ დაუდგა მუქარითა და გაბედა კიდეც პოლიკარპს ხელი დაუქნიოს. ღონე მიხდილი, ლანდებით გარემოცული ცენტურიონი გაათფთრებული წამოხტა თავისის ადგილიდამ და დაკუმშა მუშტები.

თან და თან გონებაზედ მოვიდა და მაშინ მოაგონდა ის ამბავი, რაც ამ უკანასკნელს საათებში დაემართა. სწრაფად გამოვიდა ბნელის ოთახიდამ გარედ, ცოტა ღვინოთი მოისურიელა თავი, მივიდა ღია ფანჯარასთან და ვარსკვლავებს ცქერა დაუწყო. შუა ღამე დიდი ხანია გადასული იყო. ფებიცემ ილოცა თავისი ღმერთი მიტრა, რომლის სამსახურსა ისე გულ-მოდგინეთ ეძლევოდა ხოლმე. ხშირად მთელის კვირის განმავალობაში დღეში რამდენსამე საათს ჩაწვებოდა თოვლში და მერე დიდს მარხულობას მიეცემოდა ხოლმე. ამას ყოველსა იმისათვის იქმოდა ხოლმე რომ, მაღალი ხარისხი „ლომისა“ ღირსებოდა.

სირონას ჰსძულდა უგუნური სარწმუნოება თავისის ქმრისა და მაგით უფრო დაშორდნენ ერთმანეთსა ცოლ-ქმარნი. ფებიცი მტკიცად იდგა თავის რჯულზედ: მას უნდოდა დაგვიანებულის სინანულით შეენანა თავისი ადრინდელი ცოდვანი. ფებიცი ეკედრებოდა თავის ღმერთს, იმოდენა ძალა მომანიჭეო, რომ ჩემის ცოლის უჯიათობას ბოლო მოუღოო და მის შემაცდენელს სამაგიერო გადვუხადოო. ლოცვის შემდეგ შეხსნა კედლიდამ ორი მაგარი თოკი, თავ-მოწონებით ტანში გაიმართა, თითქო თავისის ჯარის წინა დგა და საომრად გულს უკეთებსო, ანუ მოედანზეაო და ხალხთან ლაპარაკს ლამისო და ამ სახით გამოვიდა საწოლიდამ.

მას ფიქრათაც არ მოსვლია ცოლის გაქცევა. რა კი საწოლში ვერა ნახა თავისი ცოლი, დიდს ოთახში შავიდა, იქ ეგულებოდა სირონა. მაგრამ აქაც ვერ იპოვა. ფებიცის ეოცებოდა ეს ამბავი და სირონას გაქცევა ისეთ შეუძლებელ საქმეთ მიაჩნდა, რომ გადაწყვეტით უარჰყო.

უსათუოდ ჩემის გაჯავრებისა შეეშინდაო და ან ტახტის ქვეშ, ან საქვეშაგების უკან დაიმალაო.

„— პატარა ძაღლი მგონი ეხლა გულზედ ეკვრება, გაიფიქრა გულში და მოჰყვა სისინს, რადგანაც იამბა ყო-

ველთვის ამის სისინზედ გულზედ მოდიოდა და ყოველთვის ხმა მაღლა მოჰყვებოდა ხოლმე ყეფას. მაგრამ სულ ამაო იყო! არსაიდამ ჩურჩულიც არ ისმოდა. მაშინ ფებიცის რაღაც ფიქრი მიეცა დაჩხრიკა ყოველი კუთხე ოთახებისა, ეძებდა სირონას იმისთანა ადგილებშიც კი, სადაც ბავშვიც კი ვერ დაეტევოდა დასამალავად. თოკები ხელიდამ გავარდა და იმ ხელმაც, რომელშიაც კანდელი ეჭირა, კანკალი დაუწყო. მაშინ შეამცნივა ფანჯრები ღია იყო საწოლს ოთახში. ფანჯრის ახლო სკამი იდგა, რომელზედაც სირონა იჯდა და მთვარეს შესცქეროდა, რაც გერმასი მოვიდა.

— მაშ სწორედ ამ გზით წასულა! წაიდუდუნა ფებიციმ,—კანდელი ძირს დადგა, ჰკრა ხელი კარს, დამოვარდა გარედ. „შეუძლებელია, რომ ამ შუაღამისას სირონა პირ-და-პირ უდაბნოსაკენ წასულიყო“ ფიქრობდა გულში. ხელი ჰკრა ჭიის კარს და ნახა რომ მაგრად არის დაკეტილი. ძაღლები წამოხტნენ და ყეფას მოჰყვნენ, როცა ფებიცი სენატორის სახლისაკენ წამოვიდა და მოჰყვა კარას რაკუნსა. მას ეგონა, რომ მისი ცოლი აქ სენატორთან მოვიდოდა და ამათ მფარველობას ითხოვდა ფებიცი ისე გულზედ მოსული იყო, რომ მეტი აღარ იქმნებოდა იმას გული მოზდიოდა იმაზედ კი არა რომ ცოლი დაჰკარგეო, არამედ იმაზედ, რომ პოლიკარპს ჩემი თავზედ ლაფის დასხმა როგორ გადავახდევინოო. როგორ გაბედაო ასეთი შეურაცხყოფა იმპერატორის ცენტურიონისაო! სირონასი კი მაგდენი დარდი არა ჰქონდა, ან რა იყო მისთვის სირონა?

მას აქედ რაც სირონამ არ ინდომა არშიყობა თავის ქმრის უფროსისა, და უდიერად მოექცა, უფროსი შემოჰწყრა ფებიცის და რომიდამ აქ უდაბნოში გადმოჰკარგა, მას აქედ ფებიციმ მტრად ჩასახა სირონა და ეგონა, რომ სირონა მარტო იმათ ექცევა კარგად, რომელნიც ფებიცისა ჰსძულდა. ამ უკანასკნელთ შორის ყველაზედ წინ პოლიკარპი იყო ფებიცის თვალში

ფებიციმ ხელახლად დაარაკუნა კარი პეტრესი; კარი გაუღეს; სანთლით ხელში დახვდა წინ სენატორი გააფთრებულს ცენტურიონსა.

(შემდეგი იქნება)

---

შენიშვნა: წარსულ ნომერში „ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის“ განცხადებაში შეცდომა არის: ყველგან დღიურის მაგივრად დესიატინა უნდა ეწეროს.

---

## ლექსები

## „სიყვარული“

შედგენილი ანთიმოზ ჯუღელისაგან გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: გ. ჩარკვიანის და კართანოვის წიგნების მაღაზიებში.

იმერეთში: დ. ყვირილას, კოსტავას და ჩუბინიძის დუქნებში.

სამეგრელოში: დ. სუჯუნას ბ. თოფურიძის და აბაშის სტანციაზე უფ. პ. მელიქოვის დუქანში.

ფასი ორი შაური.

ვინც ოცზე მეტს იყიდის ერთად მას თითოეული ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათ ხოლო ვინც ასზე მეტს იყიდის იმას შვიდ-შვიდ კაპეიკად.

---

ამ დღეებში დაიბეჭდა და ისყიდება უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში **მეჯღანუაშვილი**, რომანი არდაზიანისა.

ფასი ექვსი შაური.

აქვე ისყიდება ყოველ-გვარა ქართული წიგნები.

---

იბეჭდება და ჩქარა გამოვა გასასყიდლათ უფ. ივ. ქარესელიძის ლექსები ერთ წიგნათ·

## განცხადება.

გამგეობა მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე 18 §-ის ძალით ოც-და-რვა (28) ნოემბერს ამა 1878 წლისა, გამგეობაში, რომელიც არის ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზედ, თავადი ნიჟარაძის სახლში, გაიყიდებიან საზოგადო ვაჭრობით უძრავნი მამულნი ქვემო მოხსენებულთა პირთა, ვადითი გადასახადთა, დაწესებულთა ბანკის წესდების §§ 31, 32 და 33-ის ძალით, მათ მიერ შემოუტანლობისა გამო:

წერეთელთა, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს ძეთა, ვასილი სიმონის ძისა და შტაბს-კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა—20 დესიატინი და 1,980 კვადრატული საჟენი სახნავი და სათიბი მიწა, სახელდობ „სარბევი," მდებარე წინასულში ქუთაისის უეზდისა. თავნი ვალი 2,000 მანეთი, შემოუტანელი გადასახადი 150 მანეთი და 50 კოპეიკი.

მათივე—ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვით-კირისა და მეორე ხისა, ეზოით, სახნავით, ვენახით და ტყითურთ, ზომით ოთხი (4) დესიატინი და 300 კვადრატ. საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, ბაღის ქუჩაზე. თავნი ვალი 6,560 მანეთი და 73 კოპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 782 მანეთი და 80 კოპ.

ღოღობერიძისა, გიორგი ბესარიონის ძისა,—ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი დუქნები, ეზოთურთ, ზომით 276 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, მიხაილის ქუჩაზე. თავნი ვალი 17,737 მანეთი და 64 კოპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 1,297 მანეთი.

ვაჭრობა დაიწყება ბანკისადმი ვალით იმ ხარჯების ზედ დამატებით, რომელიც ბანკს მოუხდა მამულის გასასყიდლად დანიშვნისამებრ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ განიხილონ გამგეობაში აღწერები და საბუთები, რომელნიც გასასყიდელთა მამულთა შეეხებიან. თუ პირველი ვაჭრობა არ გამოდგა, მაშინ დაინიშნება მეორე და უკანასკნელი—ამა 1878 წლის 14 ქრისტეშობისთვისათვის (§ 24) მამულის მყიდველთ შეუძლიათ ბანკის ვალი თავის თავზე გადაიტანონ (§ 22).

---

ტფილისის ქალაქის გამგეობა (უპრავა) აცხადებს, რომ ამომრჩეველთა სიები მომავალ არჩევანისათვის შედგენილი არიან და გაგზავნილნი ყველა აქაურ გაზეთების რედაქციაში დასარიგებლად მათთა ქალაქელ ხელ-მომწერლებთათვის. გარდა ამისა მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ ამომრჩეველთა სიები ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის 10 საათიდამ ვიდრე შუადღის 2 საათამდე. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ თვისი შენიშვნა ხსენებულ სიების ნაკლულევანებაზედ მიჰმართონ გამგეობას ორის კვირის განმავლობაში, თერთმეტის ღვინობისთვიდამ მოყოლებული.

---

Дозволено цензурою, Тифлисъ 1 Ноября 1878 г. Типографія Амб. Энфіаджіанцъ. რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე